ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**გურამ კვარაცხელია**
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2020 – 01.11.2021
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი; 2. ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი 2. საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი
დროებითი სამუშაო ჯგუფები:	1. საკრებულოს ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 24 სხდომა;

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 23 სხდომა

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

  დადგენილება - 57;

  განკარგულება - 190.

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

  ა) კომისიები:

  ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია:

  ჩატარდა: - 14 სხდომა; დასწრება: - 12 სხდომა

  სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია:

  ჩატარდა: - 6 სხდომა; დასწრება: - 6 სხდომა

  ბ) ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

  ჩატარდა: - 1 სხდომა; დასწრება: - 1 სხდომა

  გ) ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“

  ჩატარდა: - 0 სხდომა; დასწრება: - 0 სხდომა

- **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

  1. უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამის სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი
  2. რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M2კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის დადგენილი ფასის შესწავლის მიზნით შექმნილი საბჭოს წევრი
  3. რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე კონკურსის პირობების შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრი

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება.

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით", ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები"-ს წევრი, ვეთანხმები ფრაქციის პრიორიტეტებს: კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, ჯანსაღი კონკურენციისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას; ქართული ეკონომიკის გასაძლიერებლად, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

„ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის" მიზანია შიდასაქალაქო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის პრობლემების აღმოფხვრა.

აქტიურად ვიყავი ჩართული როგორც საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის, ასევე საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროებში არსებული პრობლემატიკის განხილვაში, ვმონაწილეობდი ერთობლივი ძალისხმევით ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღებაში.

საანგარიშო პერიოდში, სისტემატიურად ვმართავდი შეხვედრებს ამომრჩევლებთან.

თარიღი: 29.10.2021

ხელმოწერა: გურამ კვარაცხელია